

(47·93)333·5  
b-27

საქათველოს წარამატე-  
გის გონის კანონი

47-93)333.5  
6-27

7.9.31/333  
БИБЛИОТЕКА  
ЗАКОНОДАТЕЛЬСТВА

83



საქართველოს კარლავაგის

# აღმის კანცხი



თბილისი

სტამბა ბ. კილაძისა, ველიამინოვის  
1919 წ.



## პ ა ნ ტ ხ ი

სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა.

1. სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის მამულები მიეცემა სოფლის მცხოვრებთ კერძო საკუთრებად. გარდა იმ გამონაკლისა, რომელიც ამ კანონის შემდეგ (2) მუხლშია მოხსენებული.

2. გარდა იმ მიწებისა, რომელიც ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წლის დეკემბრის I დეკრეტის მე-5-ე მუხლში და ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის მაისის 2 კანონშია ჩამოთვლილი, არ განაწილდება მცხოვრებთა შორის ავტოთვე ის მიწებიც, რომელიც მიწათ-მოქმედების მინისტრის განკრაგულებით გადასახლებისა და დასახლებისათვის დანიშნულ იქნება.

3. მიწა მიეცემა საკუთრებად იმ უმიწაწყლო და მცირედი მიწის მქონე სოფლელთ, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომა.

**შემადგენლობა.** მიწის საკუთრებად მიღების უფლება არ ეყარგებათ, უკეთ ამ (3) მუხლში იღნიშნულ მოთხოვნილებას აქმაყოფილებენ, იმ ქალაქების მცხოვრებთ, რომელიც ქალაქებად გამოცხადებულ იქნა 1917 წლის მარტის I შემდეგ.



4. უკეთუ რამდენიმე პირი, რომელთაც უფლებული აქვთ ცალ-ცალკე ნორმის მიღებისა, წერილობით განაცხადებენ, რომ მათ პსურთ საზოგადო საკუთრებად შეიძინონ მათი ხვედრი მიწები, ასეთი მათი თხოვნა დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს.

5. აგრეთვე დაქმაყოფილებულ უნდა იქნეს სურვილი იმ სოფლის საზოგადოებისა და ან სოფლისა, რომელიც საზოგადო საკუთრებად მოითხოვს მისი მცხოვრებლების ხვედრ მიწას, უკეთუ ასეთი თხოვნა დადასტურებულ იქნება განაჩენით, რომელიც დადგენილ იქნება სრულწლოვან მცხოვრებთა ხმის ორი მესამედით. ამავე დროს ხსენებულმა სოფლის საზოგადოებამ და ან სოფელმა უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად ადგილობრივ საერობო გამგეობას, ხოლო საბაკაცია ასეთი არ არის საადგილ-მამულო გამგეობას, განაჩენი, თუ რა წესით უნდა ისაოგებლონ სოფლებმა აღნიშნული მიწებით.

6. საპოვარი (выгониши) აუგილება სოფლის საზოგადოებას და ან სოფელს |გადაეცემა საკუთრებად.

7. მიწა გადაეცემა სოფლის მცხოვრებთ საკომისად იმდენი, რომ მიცემული მიწა კომლის უძრავ ქონებასთან ერთად არ აღემატებოდეს იმ ნორმას, რომელიც მიწების კონფისკაციის დროს დაწესებულ იქნა კერძო მფლობელთათვის ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის მარტის 7 კანონის მე-2-ე მუხლით. ამ ფარგლებში მიწება ისე უნდა იქნეს ვანაწილებული, რომ უპირატესობა მიეცეს ოჯახს, რომელსაც საკუთარი შრომით დაუმუშავებია ეს მიწა, თანაც უურადლება უნდა მიექცეს ოჯახის მოთხოვნილების დაქმაყოფილებას.

ნუმდებნა. უკეთუ საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობა იღძრიას შეუძლებობლობას, მიწათ-მოქმედების მინისტრის ნება ეძღვევა კერძო შემთხვევაში ამ კანონის მე-7-ე მუხლში მოსსერტებული ნორმით შესცვლილოს.



8. აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატუშული მიწათმედების სამინისტროს, რომელის აღვილობრივ თოვანობებს უმ საქმეში შეადგენენ: ა) სამაზრო საერობო გამგეობა, რომელზედაც გადადის სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობათა უფლებანი და მოვალეობანი, ბ) სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა იმ ადგილებში, სადაც საერობო გამგეობა არ არის არჩეული, და გ) სარაიონო კომისიები.

9. მიწათმედების სამინისტროს განკარგულებით ყოველი მაზრა გაიყოფა სააგრარო რაიონებად. თვითეულ რაიონში შესდგება სარაიონო კომისია რომელსაც ირჩევს სარაიონო თათბირი ჸ—ნ პირისაგან. სარაიონო თათბირს, რომელიც შესდგება სათანადო რაიონის საერობო ხმოსნებისა და სოფლების ორ-ორი წარმომადგენლისაგან, მოიწვევს სამაზრო საერობო გამგეობა, რომელის ერთერთი წევრიც გასწევს თავმჯდომარეობას. იმ მაზრებში, სადაც საერობო ხმოსნები არ არიან არჩეული, სარაიონო თათბირი შესდგება ზემოთ აღნიშნულ სოფლის წარმომადგენელთა და საადგილ-მამულო გამგეობის მიერ და-ზნიშნულ იმდენ წევრისაგან. რამდენიც საერობო ხმოსანია დაშესძლული ამ რაიონისთვის. ასეთ მაზრებში სარაიონო თათბირს მოიწვევს სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა, რომელის წევრიც გასწევს თავმჯდომარეობას.

შემაბეჭრა: თვითეულ სარაიონო კომისიის პავს მჟღანი და მიწის-მზომელი. რომელთაც დანიშნულ მიწათმედების მინისტრი განსაზღვრულ ჯამშივრით.

10. საქართველოს საადგილ-მამულო ფონდს, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთ უნდა მიეცეს, მიწათმედების მინისტრი გაანაწილებს მაზრებ შორის, ხოლო მაზრებში რაიონებ შორის. რაიონისთვის დანიშნული ფონდი დანაწილდება სარაიონო კომისიის მიერ სოფლის საზოგადოებათა, სოფელთა და კერძო პირთა შორის, რომელთაც ამ კანონით მიწა ურჩეული.

ს პარაგ ვ დო  
პარლამენტის  
მოწვევი



11. იმ პირმა, რომელსაც მიწის მიღების ჟულიტა  
აქვს, თავისი სურვილი უნდა განუცხადოს სარაიონო კო-  
მისიას, რომელსაც უნდა წარუდგინოს აგრეთვე ცნობები,  
თუ რამდენი და რა სახის მიწა აქვს. ის პირი, რომელიც  
განქრახ ყალბ ცნობებს წარადგენს თავის უძრავ ქონების  
თაობაზე, დასჯილ იქნება ციხეში დაპატიმრებით ერთი  
თვიდან ერთ წამდე და მიწის მიღების უფლების წარ-  
თმევით, ხოლო თუ ამ გზით მიწის მიღებას მოასწრებს,  
მიღებული მიწა ჩამოერთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

12. სარაიონო კომისია ვალდებულია შეამოწმოს, თუ  
რამდენი საკუთარი მიწა აქვთ იმ პირთ, რომელნიც  
ფონდიდან ითხოვენ მამულს. გამოარკვიოს რაოდენობა  
იმ პირთა, რომელთაც მიწა ერგებათ, და აღნიშნულ რაიონ-  
ში ფონდის სივრცისა და მიწის მოთხოვნილების მიხედვით  
მოახდინოს მასი განაწილება თანახმად ამ კინონის 3—7  
მუხლებისა.

13. სარაიონო კომისიას ნება აქვს სათანადო რაიო-  
ნის ფარგლებში მოაწყოს კომისიები სოფლის საზოგადო-  
ებაში, და სოფლებში 3—5 პარისაგან, რომელთაც ამო-  
ირჩევენ სოფლის საზოგადოებები და სოფლები კუთვნი-  
ლებისამებრ. თვითეულ სოფლის საზოგადოების კომისია  
წარუდგენს სარაიონო კომისიას თავის მოსაზრებებს, თუ  
როგორის წესით უნდა განაწილდეს სოფლის საზოგადო-  
ებისთვის დანიშნული ფონდი სოფლებ შორის, ხოლო  
ცალკე სოფლის კომისია სოფლის მცხოვრებთა შორის.

14. როცა სარაიონო კომისია გამოარკვევს, თუ  
რამდენი მიწა უნდა მიეცეს ამა თუ იმ სოფლის საზო-  
გადოებას ან სოფელს საზოგადო საკუთრებად, ხოლო  
კერძო პირს კერძო საკუთრებად, შეადგენს მიცემის აქტს  
კომისიის ყველა წევრის ხელისმოწერით და, როცა სოფ-  
ლის საზოგადოება ან სოფელი და კერძო პირი წარმო-  
ადგენს სახლმწიფო ხაზინიდან ხვედრი ფულის შეტანის



ქვიტანციას, გაუგზავნის აქტს დასამტკიცებლად საძახო საერობო გამგეობას, ხოლო სადაც ასეთი არ არსებობს, სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობას.

შემიღება: მიწით მოქმედების მინისტრს ნება აქტს ოფიციულ კერძო შემთხვევაში ორ წლიდე განუგრძოს მყიდველს სილარიბის გამო ხევდრი ფულის გადახდის ვადა. უკეთუ ამის თაობაზე შეამდგრმლობას აღძრივს ხერობო და ან საადგილ-მამულო გამგეობა.

15. დაინტერესებულ სოფლის საზოგადოებას, სოფელს თუ კერძო პირს შეუძლიანო სარაიონო კომისიის განკარგულება გაასაჩივრონ სამაზრო საერობო გამგეობა-ში, ხოლო სადაც ასეთი არ არის — სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობაში ერთი კეირის განმავლობაში დღიდან კომისიის მიერ დადგენილების გამოცხადებისა. საჩივარი წარედგინება თითონ სარაიონო კომისიას, რომელიც თავის განმარტებით გადასცემს მას საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობას არა უგვიანეს სამი დღისა საჩივრის მიღებიდან.

16. სამაზრო საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობა მოისმენს დაინტერესებულ მხარეთა განმარტებას, უკეთუ ისინი გამოცხადდებიან და გამოიტანს განაჩენს, რომელითაც ან უცვლელად დაამტკიცებს სარაიონო კომისიის მიერ წარმოდგენილ მიწის მიცემის აქტს, ან შეიტანს მასში ცვლილებას, ან სარაიონო კომისიას მოსთხოვს ახალ აქტის შედგენას. გამგეობის მიერ დამტკიცებულ აქტს აქვს ძალა ნახყიდობის სიგელისა (კუპჩეი კრების). მისი პირი მიეცემა სოფლის საზოგადოებას, სოფელს ან კერძო მყიდველს, ხოლო მეორე პირი წარედგინება უფროსს ნოტარიუსს სიგელთა რეესტრში აღსანიშნავად.

17. მცხოვრებთა შორის გასანაწილებული მიწა გაძყიდება იმათხე, ვისაც მიწის მიღების უფლება აქვს, რათა ამ გზით დაფარულ იქნეს ხარჯი, რომელიც სახელმწიფოს



დაედება საადგილ-მამულო ბანკების ვალების თავის შემცირებულება  
გადატანით, ზოგიერთ მიწების გაშრობისა და მორწყვის,  
გადასახლებისა და დასახლების, აგრარულ რესორმის  
განხორციელებისა და მასთან შეკავშირებულ აუცილე-  
ბელ საჭიროებათა დაკამაყოფილების გამო და აგრეთვე  
ცალკე ფონდის დაარსებით, რომელიც საჭიროა აუცილე-  
ბელ სასოფლო-სამეურნეო მოთხოვნილებათა დასაკმაყო-  
ფილებლად. მიწათ-მოქმედების მინისტრი სამაზრო ერო-  
ბებთან შეთანხმებით აწესებს თვითოულ რაიონისათვის  
საშუალო შეღავათიან ფასს დესეტინაზე. საშუალო ფასის  
მიხედვით გამოიანგარიშება საერთო ჯამი, რომელიც  
რაიონს მოუწევს. ამ საერთო ჯამთან შეტარდებით სა-  
რაიონო კომისია დააწესებს მიწების ფასს მათი ღირსე-  
ბის მიხედვით.

შემიზურა: ქალაქის ახლო მდებარე მიწები, აგრეთვე ვე-  
ნახები და ვაშენებული ადგილები გაიყიდება ნიმდვილ ღირსებუ-  
ლების მიხედვით.

18. ყოველმა დაწესებულებამ და თანამდებობის  
პირმა დახმარება უნდა გაუწიოს აგრარულ რეფორმის  
სისრულეში მომყვან ორგანოებს, ხოლო დაინტერესებულ-  
მა სოფლის სახოგადოებამ, ხოფელმა და კერძო პირმა  
უნდა გადასცენ ამ ორგანოების განკარგულებაში გადა-  
სახიდი საშუალებანი, მუშები, იარაღები და მასალები  
ყოველგვარ სამუშაოსათვის და სამიჯნო ნიშნების ჩას-  
ყრელად.

19. ყოველ შემთხვევაში, როცა ამ კანონით შეძე-  
ნილი მიწების გადაცემა ხდება, სამაზრო ერობას უნდა  
მიეცეს უპირატესობა შეიძინოს ეს მიწა გადახდილ ფასზე  
იმ ხარჯების დამატებით, რომელიც სახელმწიფო ფონდი-  
დან მიწის შემძენს გაულია მამულის გასაუმჯობესებლად  
დღიდან შეძენისა. ამის გამო არც ერთი აქტი ამ მიწე-  
ბის გადაცემისა არ შეიძლება შესრულებულ იქნეს. უკე-

თუ წარდგენილი არ იქნება საბუთი ერობისაგან პრესუფ-  
ლებაზე უარის თქმისა. ამ მოთხოვნას არ ექვემდებარება  
ის შემთხვევა, როცა რომელიმე პირი სახელმწიფოსაგან  
შეძენილ მიწას საჩუქრად გადასცემს თავის ოჯახის წევ-  
რებს.

20. ამ კანონის განსამარტებლად მიწათ-მოქმედების  
მინისტრს ნება აქვს გამოსცეს ინსტრუქციები.

21. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნე-  
ბისა მთავრობის ორგანო „საქართველოს რესპუბლიკაში“.

1919 წ. იანვრის 28.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი  
ე. თბილიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე  
ნ. უორდანია.

## პ ა ნ ტ ნ ი

ყოფილ სანადელო, სახიზნო და სხვა მიწების  
კერძო საკუთრებად გამოცხადებისა.

1. ის სანადელო ადგილები, რომლის დამტკიცება  
ვერ მოასწრეს ყოფილ დროებით ვალდებულმა გლეხებმა და  
სახელმწიფო „პოსელიანებმა“ 1912 წლის დეკემბრის 20-ს  
კანონის ძალით და რომელიც მათ სარგებლობაში იყო  
„უტავნი ღრამატებით“, გამოცხადებულ იქნეს მათ კერ-  
ძო საკუთრებად.

2. იმ ნორმის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია  
ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის მარტის 7-ს კანონის  
მეორე მუხლით, გამოცხადდეს კერძო საკუთრებად:

ა) ყოფილ სახაზინო გლეხების, ან სოფლის, ან სა-  
ხოვადოების ის სახაზინო მიწები, რომელიც მათ საშვი-  
ლიშვილო სარგებლობაში იმყოფება;

ბ) ყოფილ ხიზანთა მიწები, რომელიც არის მათ  
სარგებლობაში სახიზანო უფლებით;

გ) გორის მაზრის მთიან ოსეთის ნაწილის ყოფილ  
გლეხთა მიწები, რომელიც არის მათ სარგებლობაში ეგ-  
რედ წოდებულ „კორონცოვის უფლებით“;

დ) ახალციხის და სხვა ადგილების ყოფილ გლეხთა ის მიწები, რომელიც არის მათ სარგებლობაში ტაპის უფლებით.

ე) სოხუმის ოლქის ყოფილ გლეხთა ის მიწები, რომელიც მათ მიცემული ჰქონიათ 1870 წ. ნოემბრის 8-ს დღებულების წესით;

ვ) იმავე სოხუმის ოლქში მცხოვრებ პირთა ის მიწები, რომელიც მათ მიცემული ჰქონდათ 1900 წლის მაისის 1-ს კანონით საშეილოშვილო სასარგებლოდ.

ნებაშვილი: უკეთს ხერობო ან ხადგილმაზულო ვამგეობა აღძრავს შუამდგომლობას, მიწათ მოქმედების მინისტრს ნება აქვს კერძო შემთხვევაში ან 2 მუხლში მოხსენებულ ნორმა შესცვალოს.

3. ამ კანონის პირველ და მეორე მუხლში აღნიშნულ ადგილების მფლობელთ არ გადახდება მიწის ფასი, მხოლოდ დაევალებათ დამტკიცების და დაყორონის ხარჯები.

4. საკუთრების დასამტკიცებელ აქტის მისაღებად ისინი ისარგებლებენ იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია იმათვების, ვისაც სახელმწიფო ფონდის მიწები შეიყიდებათ.

1919 წ. იანვრის 28.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანავი

ე. თაყაიშვილი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

ნ. უთრდანია

ვაშტები  
მიწათ მოქმედების მინისტრი  
ნ. ხომიურიძე.  
15/4—19 წ.

## 06 სტრუქცია

მიწათ მოქმედების სიმინისტროსი, გამოცემული სახელმძღვანელოთ 1919 წ. 28 იანვრის კანონის, სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კურძო საკუთრებათ მიცემის შესახებ, ცხოვრებაში გატარების დროს.

§ 1. სახელმწიფო ფონდის მიწებს, რომლებიც, მიწათ მოქმედების მინისტრის განკარგულებით, მიეცემა რაიონს, ანაწილებს სარაიონო კომისია (კან. მუხ. 11).

§ 2. სარაიონო კომისიას ყავს თავმჯდომარე. თუ ეს თავმჯდომარე არ იქნა არჩეული თვით თაობირზე (კან. მუხ. 9), მას ირჩევს თავის წრილი სარაიონო კომისია.

თუ სარაიონო კომისია თითონ არ შეიქრიბა თავმჯდომარის ასარჩევათ, მას იშვევს სამაზრო ერობის გამგეობის ან საადგილ-მამულო გამგეობის ის წევრი, რომელიც თავმჯდომარეობდა ამრჩევ თაობირზე; შემდეგ-კი კომისიის სხდომებს იშვევს მისი თავმჯდომარე, ამ უკანას კნელის მოადგილე ან მდივანი.



§ 3. იმ რაიონში, სადაც მემამულეთაგან შემცირდება დასრულებული არ არის, მიწების კონფისკაციას ახდენს /განსაკუთრებული კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან: ურავმჯდომარეთ სარაიონო კომისიის მდივანი, წევრებათ სარაიონო კომისიის მიწების მხოლოდ, კურთი წევრი სარაიონო კომისიისა დაც სოფლის კომისიარი. ამ კომისიაზე სავსებით გადადის მიმღები კომისიის უფლება მოვალეობანი.

კომისიის მოქმედებაზე საჩივარი შედის სარაიონო კომისიაში ერთი კვირის ვადაში დღიდან აქტის დადგენისა. სარაიონო კომისია დაუყონებლივ იხილავს საჩივარს და თავისი დასკვნით გადაუგზავნის სათანადო ერობის გამგეობას საბოლოო დადგენილების გამოსატანათ. ერთ-ბის გამგეობა ერთი კვირის ვადაში, დღიდან საჩივარის მიღებისა, ატყობინებს თავის დასკვნას სარაიონო კომისიას

§ 4. საძოვარ (выгонныя) ადგილებს სარაიონო კომისია იძლევს საკუთრებათ სოფლის საზოგადოებას ან სოფელს, ადგილობრივი პირობების მიხედვით (კან. მუხ. 6). დანარჩენ საფონდო ადგილებს კომისია უნაწილებს უმიწაწყლო და მცირედი მიწის მქონე სოფლელთ, რომელთა ორსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სა თფლო-სამეურნეო შრომა (კან. მუხ. 3).

§ 5. „უმიწაწყლოთ“ ჩაითვლება ის ადგილობრივი ბინადარი, ვისაც თავისი საკუთარი დასამუშავებელი მიწა არა აქვს. „მცირე მიწის მქონეთ“ ჩაითვლება ის კომლი, რომელსაც აქვს საკუთარი მიწა, მაგრამ ეს მიწა. პირველ კატეგორიის კვალობაზე ნაანგარიშევი, არის შვიდ დესიატინაზე ნაკლები. თუ კომლს აქვს სხვა და სხვა სახის მიწები (სამოსახლო, ვენახი, სახნავი, საძოვარი და სხვ.), მცირე და მესამე კატეგორიის ადგილები უნდა იქნეს გადაყვანილი პირველ კატეგორიაზე. მაგალითად



2<sup>1</sup>/: დესიატინა მეორე კატეგორიისა (სახნავ-სათები) და  
5<sup>5</sup>/: დესიატინა მესამე კატეგორიისა (საძოვარი) უდრის  
ერთ დესიატინას პირველი კატეგორიისას (სამოსახლო, ვე-  
ნახი, ბაღი). ვისაც ამ ანგარიშით აღმოაჩნდება 7 დესია-  
ტინა ან მეტი, იმას მიწა არ ერგება.

§ 6. წინა მუხლში აღნიშნულ საკუთარ მიწად სო-  
ფელს უნდა ჩაეთვალოს ის მიწაც, ომელიც აღიარებუ-  
ლია მის საკუთრებათ საქართველოს პარლამენტის 1919 წ.  
28 იანვრის კინონით (სანადელო, სახაზინო, სახიზნო,  
ათაფო და სხვ.).

§ 7. რაიონის საზღვრებში მიწების სამართლიანათ  
ასანაშილებლათ სარაიონო კომისია უწინარეს ყოვლისა  
აგროვებს საჭირო ცნობებს: 1) რამდენია რაიონში დასა-  
რიგებელი მიწები, რა სახისაა (ვენახი, სახნავი, საძოვარი  
სხვ.) და რა თვისებისა (კარგი, უარესი, უვარვისი და სხვ.).  
2) ფაქტიურათ დანაშილებულია თუ არა ეს მიწები და  
როგორ არის დანაშილებული, 3) რამდენია თვითეულ  
სოფელში ადგილის მთხოვნელი უმიწა-ჭყლო და მცირედი  
მიწის მქონე კომლი. ამ მიზნით კომისია ყველა სოფელებ-  
ში აცხადებს ყრილობებზე, რომ ადგილობრივმა მცხოვ-  
რებლებმა, რომელთაც მიწის მიღება სურთ და ამის  
უფლება აქვთ, განუცხადონ ეს სარაიონო კომისიის არა  
უგვიანეს ერთი კვირის ვადისა.

მიწის მიღების მსურველმა ამასთანავე უნდა წარუ-  
დგინოს კომისიის ის ცნობებიც, თუ რამდენი საკუთარი  
მიწა აქვს მას და რა სახის (სამოსახლო, ვენახი, სახნავი  
და სხვა). მიცემული ვადის გასვლის შემდეგ კომისია  
ამოწმებს ცნობებს მთხოვნელთა საკუთარი მიწების შესახებ

შემთხვევაში: ცნობები დაიწერება განსაკუთრებულ ბლონდებზე, რომელ-  
იც დაურიგდებათ მსურველთ რაიონის კომისიის მიერ ყრილობებზე.

§ 8. წინა მუხლში აღნიშნულ ცნობების შექრებაში და  
შემოწმებაში, და აგრეთვე მიწების განაშილებაში და-



სახმარებლად სარაიონო კომისიას, თუ საჭიროა და ხავს, შეუძლია მოაწყოს სოფლის საზოგადოებებში და სოფლებში აღვილობრივი კომისიები იმ წესით, რომელიც ნაჩენენებია კანონის მე-13 მუხლში. ამისათვის სარაიონო კომისიის ოკუმჯდომარებულდა მიმართოს სოფლის საზოგადოების ან სოფლის კომისარს, კუთვნილებისამებრ, წინადადებით, რომ მოწვევულ იქნეს საზოგადო ყრილობა აღვილობრივი კომისიის ასარჩევად პ—ნ კაცისაგან. ამის შესახებ ყრილობა აღვენს უქა, რომელსაც წარუდგენს სარაიონო კომისიას.

§ 9. შეკრებილი ცნობების მიხედვით, სარაიონო კომისია შეუდგება აღვილების განაწილებას. ამ განაწილებას კომისია ახდენს პირველ ყოვლისა სოფლების საზოგადოებათა ან სოფლებთა შორის, როგორც აღვილობრივ პირობებში საუკეთესოთ სცნობს, და შემდეგ სოფლის მცხოვრებთა შორის. თუ სოფლების საზოგადოებათა, სოფლებსა და სოფლის მცხოვრებთა შორის საფონდო მიწები განაწილებული აღმოჩნდება და სარაიონო კომისია სამართლიანად სცნობს ამ განაწილებას, სარაიონო კომისია იწვევს დაინტერესებულ მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს გამიჯნავს აღნიშნულ მიწებს სამიჯნონიშნების ჩაყრით, ამის შესახებ აღვენს აქტს და ხელს აწერინებს დაინტერესებულ მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს. თუ ტონდის მიწები განაწილებული არ არის ან განაწილება სადათა ამ შემთხვევაში სარაიონო კომისია თვითონ ახდენს განაწილებას. სოფლების საზოგადოებათა ან სოფელთა შორის მიწები ნაწილდება იმის მიხედვით, თუ რამდენია საზოგადოებაში ან სოფელში აღვილის მოხვენელი უმიწა-წყლო და მცირედი მიწის მქონე მცხოვრები.

§ 10 მიწების განაწილების დროს კომისია ხელმძღვანელობს ავტორუ აღვილობრივი პირობებით: მიწე-



ბის მდებარეობით, თვისებით, ვინ სარგებლობდება კულტურული ციუკიამდე (1917 წ. 1 მარტამდე). და სხვ. მცხოვრებთა შორის მიწების დანაწილების დროს კომისია იღებს მხედველობაში აგრეთვე. თუ რამდენი სული და რამდენი მუშა ხელია მთხოვნელი სოფლების ოჯახში, რა თვისებას მიწა აქვს მას, აქვს თუ არა სხვა რაიმე შემოსავალი და სხვა.

შემაბეჭდის მიწების დაჭულიაცების თავიდან ისაკულტებლით კომისიის უფლება აქვს, დაინტერესებულ მხარეთა თანხმობით, ფონდის მიწა გადაუცვალოს ხაკუთარებული. მაგალითად, თუ ხოველს ან ხოვლელს ხაკუთარი მიწა დაპორებული აქვს და უონდის მიწა კარგ აკრისებს ან ასლო მდებარეობს, კომისიას შეუძლია მათი ხაკუთარი მიწა სხვას მისცეს და მათ-კენა ნაცვლად ფონდის მიწა მიუკრის.

§ 11. წინა მუხლში აღნიშნულ პირობების მხედველობაში მიღებით კომისია ანაწილებს მიწებს მცხოვრებთა შორის დაახლოებით შემდეგის წესით: ჯერ უნდა იქნეს გამოანგარიშებული იმ მიწების რაოდენობა, რომელიც უნდა მიეცეს სოფლის თუ ქალაქის ყველა უმიწა-წყლო იდგილობრივ მკვიდრთ იმ ნორმამდე, რომელიც აქვს ყველაზე ნაკლებ მიწის მქონეს; შემდეგ დანარჩენი ფონდიდან უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ რამდენი ერგება იმავე უმიწა-წყლოთ და მცირედი მიწის მქონეთ, იმ ნორმამდე, რამდენიც აქვთ ცოტა მეტ მიწის მქონეთ. მაგალითად: თუ სოფელში დაიარივებულია 50 დესიატინა და მიწის მიღების მსურველთა შორის ხუთი კომლი უმიწა-წყლო, ათის აქვს ორ-ორი დესიატინა თათოს, ათს სამ-სამი, შვიდს ოთხ-ოთხი და სხვ., ჯერ უნდა გადაიდოს 5 უმიწა-წყლო კომლისათვის ორ-ორი დესიატინა, ე. ი. ათი დესიატინა, მერე კიდევ იმავე უმიწა-წყლოთათვის და ათი მცირედი მიწის მქონეთათვის, რომელთაც აქვთ ორ-ორი დესიატინა. უნდა გადაიდოს თითო დესიატინა, ე. ი. კიდევ 15 დესიატინა, შემდეგ კიდევ იმათთვის და აგრეთვე ვისაც 3 დესიატინა აქვს — თითო



დესიატინა და ასე ბოლომდე, გამოვა, რომ ამ შეკრიცევე-  
ვაში უმიწაწყლოთ მიეცემათ ოთხ-ოთხი დესიატინა, ორ  
დესიატინინიანებს მიემატებათ ორ-ორი და სამ დესიატი-  
ნიანებს თითო დესიატინა. ვისაც ოთხი დესიატინა აქვს  
ან მეტი ამ შემთხვევაში არაფერი მიემატება.

§ 12. უკვეთუ განძრახულ განაწილების გამო სოფ-  
ლის საზოგადოებათა, სოფელთა ან მცხოვრებთა შორის  
ასტყდება დავა, კომისია ყოველ ჭომას ხმარობს საქმის  
ახსნით, მეღიატორეთა არჩევით, ჩაგონებით და სხვა, რომ  
დავა მორიგებით გათავდეს.

§ 13. თუ მორიგება შეუძლებელი შეიქნა, კომისია  
თვით სწყვეტს დავას თავისი დადგენილებით. საქმის გარ-  
ჩევაშე კომისია იწვევს დაინტერესებულ პირთ. სოფლის  
ან საზოგადოების წარმომადგენლებს, მოუსმენს მათ, თუ  
გამოცხადდენ. და მაშინვე უცხადებს მათ თავის დადგე-  
ნილებას. ამ დადგენილების დღე ითვლება გამოცხადების  
დღეთაც.

§ 14. წინა მუხლში აღნიშნული დადგენილება კო-  
მისიას სისრულეში მოყავს, ე. ი. მიცემის აქტს ადგენს  
მხოლოდ იმის შემდეგ, რო յა კანონში (მე-15 მუხ.) გან-  
საზღვრული ვად განსაჩივრებისა გათავდება ან და თუ  
საჩივარი შევიდა, როცა იმას გადასწყვეტს სამაზრო ერო-  
ბის გამგეობა ან საადგილმამულო გამგეობა.

§ 15. მიწათ-მოქმედების სამინისტრო, მიიღებს-რა  
ცნობებს რომელ რაიონში რამდენია გასანაწილებელი  
ფონდის მიწა, იმუშავებს ერობებთან შეთანხმებით ყო-  
ველი რაიონისთვის საშუალო შელავათიან ფასს და ამის  
და მიხედვით გამოიანგარიშებს იმ საერთო ჯამს, რომე-  
ლიც მოუწევს თითო რაიონს, და ატყობინებს ამას სა-  
რაიონო კომისიას.

**შენიშვნა:** იმ საერთო უამშ. რომელიც მოუწევს ქალაქის ახლო  
მდებარე მიწებზე, ვენახებზე და გაშენებულ ადგილებზე სამინისტრო  
სათანადო სირაიონო კომისიის ატყობინებს ცალკე.



§ 16. სარაიონო კომისია ამ საერთო ჯამს უდინდებული გამოიანგარიშებს დაახლოებით შემდეგი წესით: ა) ყოფს რაიონში მდებარე დასანაწილებელ ფონდის მიწებს სხვა და სხვა კატეგორიებათ მიწის ლირსების მიხედვით და გამოიანგარიშებს, რომელი კატეგორიის რამდენი მიწაა რაიონში, ბ) გამოარკვევს რამდენჯერ ძვირია სხვა და სხვა კატეგორიის მიწა ყველაზე უვარვის კატეგორიასთან შედარებით, გ) ყველა კატეგორიის მიწებს გადაიცვანს უკანასკნელ, ყველაზე იაფ, მიწაზე და გამოიანგარიშებს რამდენი დესიატინა მიწა შესდგება რაიონში ამ ნიველიროვკის შემდეგ, დ) გაყოფს ფულის საერთო ჯამს ამნაირად, გამოიანგარიშებულ მიწის საერთო რაოდენობის რიცხვზე და გამოარკვევს რა უწევს დესიატინა უკანასკნელ კატეგორიის მიწას, ე) იმის და მიხედვით თუ რომელი კატეგორიის მიწა რამდენჯერ ძვირია უკანასკნელზე, გამოიანგარიშებს ყოველი კატეგორიისათვის დესიატინაზე შეხვედრილ საფასურს.

მაგალითად: რაიონში, ვსოჭვათ, არის 2400 დესიატინა. აქედან 200 დესიატინა საჭიროა სკოლისათვის ან გადმოსახლებისათვის და სხვა, გასანაწილებელი ფონდი არის 2200 დესიატინა. 200 დესიატინა არის ვენახი, გაშენებული ადგილები და სხვ., რომელებზედაც ფასები გამორკვეულია. ჩჩება 2000 დესიატინა. სამინისტროსაგან ნაანგარიშებია ამ 2000 დესიატინა მიწაზე შესაწერათ 1 მილიონი მანეთი. სარაიონო კომისია ყოფს ამ 2000 დესიატინა მიწას კატეგორიებათ და არკვევს, რომ პირველი კატეგორიის მიწები (სახნავი სარწყავი) არის 500 დეს.; მეორე კატეგორიის (სახნავი ურწყავი) — 200 დეს.; მესამე კატეგორიის (სათიბი სარწყავი) — 500 დეს.; მეოთხე კატეგორიის (სათიბი ურწყავი) — 700 დეს.; მეხუთე კატეგორიის (საძოვარი) — 100 დეს.

ლირებულების მიხედვით, ვსოჭვათ, პირველი კატე-

გორია რვაჯერ ძვირია უკანასკნელთან (5) შეღწეულზე, მეორე ხუთჯერ, მესამე სამჯერ და მეოთხე ორჯერ. ამ რიგათ პირველი კატეგორიის 1 დესიატინა რომ გადავიყვანოთ უკანასკნელზე უნდა ავილოთ 8 დესიატინა, მაშასძამე, 500 დეს. მაგივრათ— $4600 \text{ დეს.} \times 8 = 1000$  დეს.; მეორე კატეგორიის უკანასკნელზე  $200 \times 5 = 1000$  დეს.; მესამე— $500 \times 3 = 1500$  დეს.; მეოთხე— $700 \times 2 = 1400$  დეს.; უკანასკნელი კატეგორიის 100 დესიატინა უცვლელი დარჩება. ამ ნიველიროვკის შემდეგ მივიღებთ 8000 დესიატინა მიწას უკანასკნელი კატეგორიისას. შეღავათიანი ფასი ამ კატეგორიის მიწის ერთი დესიატინისა იქნება  $1,000,000$  მ. :  $8000 = 125$  მ. ამ ნაირათ მე-4 კატეგორიის მიწის ფასი იქნება  $125 \text{ მ.} \times 2 = 250$  მან.; მე-3 კატეგორიის— $125 \text{ მ.} \times 3 = 375$  მან.; მე-2 კატ.— $125 \text{ მ.} \times 5 = 625$  მ. და 1 კატეგორიისა— $125 \text{ მან.} \times 8 = 1000$  მანეთი დესიატინაზე.

ად ცხრილი:	უკანასკნელ კატეგორ. გადაყვანით	1 დეს. ფასი კატეგორ.	ხევრონ ჯამი
I - 500 დეს. 8-ჯერ ძვირ. უკან.	4000 დეს.	1000 მ. 10000 მ.	500,000 მ.
II 200 " 5-ჯერ " "	1000 "	625 " 625,000 "	
III 500 " 3-ჯერ " "	1500 "	375 " 187,500 "	
IV 700 " 2-ჯერ " "	1400 "	250 " 175,000 "	
V 100 "	100 "	125 " 12,500 "	
შულ . .		8000 "	1000000 "
1000000 მან. : 8000 = 125 მან.			

§ 17. როდესაც თვით კატეგორიის მიწის შეღავათიანი ფასი გამორცველება, სარაიონო კომისია, იმის და მიხედვით თუ რომელ სოფელს ან სოფლის საზოგადოებას რამდენი და რომ კატეგორიას მიწა უკარი-

შობს რომელმა სოფელმა ან საზოგადოებამ რამდენი ფული უნდა შეიტანოს ხაზინაში იმ საერთო თანხიდან, რომელიც შეეწერება მთელ რაიონს. მაგალითად, რომელიმე სოფელს შეხვდა:

			უნდა გადაიხადოს:
1-კატეგორიის	მიწა-100 დეს.	1000 მ.×100=	1000000 გ.
3	" 300 "	375 მ.×300=	112.500 გ.
4	" 50 "	250 მ.× 50=	12.500 გ.
			სულ . . 225.000 გ.

§ 18. იმის გამორკვევის შემდეგ თუ ცალკე შეკომური რამდენსა და როგორი ხასიათის მიწას მიიღებს იმ ფონდიდან, რომელიც სოფელს შეხვდა, სოფლის კომისია გამოიანგარიშებს რამდენი ფული უნდა შემოიტანოს ამა თუ იმ პირმა იმ საერთო ჯამიდან, რომელიც შეწერილიქნა სოფელზე ან სოფლის საზოგადოებაზე, და თავის ანგარიშს წარუდგენს სარაიონო კომისიას.

§ 19. სარაიონო კომისია შეამოწმებს ანგარიშის სინამდვილეს და ამის შემდეგ აძლევს მიწის შემძენს სათანადო მოწმობას ხაზინის სახელზე, სადაც აღნიშნული იქნება თუ ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს.

§ 20. აქტი უნდა შეიცავდეს: 1) აღნიშვნას იმისას, თუ როდის შესდგა იგი (წელიწადი, თვე, რიცხვი), 2) ვის მიეცა ადგილი (სახელი მამის სახელი, ვარი, სად ცხოვრობს), 3) რა ადგილი მიეცა (ვენახი, ბალი, სახნავი და სხვა), 4) რა ზომის თითო ნაკვეთი, რა საზოგადოებში და რა ნომრებით, 5) როგორ იყო შეფასებული თვითეული ხარისხის მიწა, 6) რამდენი გადახდა საერთოდ მყიდველს ადგილის საფასურიდ და 7) ხელის მოწერას კომისიის თავმჯდომარისას და წევრებისას.

შეტანა: აქტი უნდა იქნეს შედგერილი ოჯახის უფროსის სახელზე. მაგალითად, თუ ოჯახი შედგება მამი და შეიღებოდან, მამის



საჩელზე; თუ მაგრა ცოცხალი არ არის, შეგრძნ ცოცხალია ჰქონდება მაგრა და დასახულის სახელზე; თუ მშობლები ცოცხალი არ არიან, შეგრძნ რჯახზე არიან მები და დები—ყველას სახელზე.

აქტს თან უნდა დაერთოს (ჩაეკეროს) ის ბლანკიც. რომელზედაც აღნისხული იქნება ცნობები საკუთარი მიწების რაოდენობის შეახებ (§ 7-ის შენიშვნა.)—

§ 21. ყოველ ასეთ აქტს სულ ერთია იყო დავა თუ არა, სარაიონო კომისია წარუდგენს სათანადო მაზრის საერობო გამგეობას და სადაც საერობო გამგეობა ჯერ არ არსებობს, საადგილ-მამულო გამგეობას. მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მიწის შემძენი წარუდგენს კომისიას ადგილობრივი ხაზინის კვიტანციას, რომელიც უნდა ამოწმებდეს, რომ მიწის შემძენმა შეიტანა ხაზინაში: 1) მიწის ფასი, 2) სამტკიცის ბაჟი (მანეთზე ოთხი კაპეიკი) და 3) ერთი თუმანი რმ ღერბის ქალალდის ფასად, რომელზედაც საერობო (თუ საადგილ-მამულო) გამგეობამ უნდა დასწეროს საბოლოო აქტი.

შემიმდგრადა: კომისია წარუდგენს საერობო (ან საადგილ-მამულო) გამგეობას აქტის დედონს, ასლს-კი იტოვებს თავისთვის.

§ 22. საერობო (თუ საადგილმამულო) გამგეობა ამოწმებს აქტს, ასწორებს აშვარა შეცდომებს (օპისკი), ამტკიცებს მას და გადასწერს ღერბის ქალალდზე. ღერბის ქალალდზე დაწერილ აქტს აძლევს მიწის შემძენს, მის ასლს უგზავნის სათანადო ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსს და ერთ ასლს-კი თავისთვის იტოვებს.

§ 23. ყოველ ორი კვირის შემდეგ საერობო (თუ საადგილ-მამულო) გამგეობამ უნდა აცნობოს მაწათ მოქმედების მინისტრს, თუ ამ ვადაში რამდენი აქტი შეადგინა და რა ფასის მიწა გაიყიდა საერთოდ.

§ 24. კანონის მე-17 მუხლის შენიშვნის თანახმად ქალაქის ახლო მდებარე მიწები და ბერეთვე ვენახები და გაშენებული ადგილები, სადაც არ უნდა იყოს, უნდა გაიყიდოს ნამდვილ ადგილობრივ ფასებში. „ქალაქის ახ-



ლო მდებარედ“ უნდა ჩაითვალოს ისეთი აღვილები, რომ-  
ლებიც მდებარეობს ძველი ქალაქების საზღვრებიდან  
ხუთ ვერსზე ან უფრო ახლო და ახალი ქალაქების საზ-  
ღვრებიდან ერთ ვერსზე ან უფრო ახლო.

Öffnungs- und Schließzeiten der Landesbibliothek für Sachsen-Anhalt  
und der Universitätsbibliothek Halle (Saale) sowie die Öffnungszeiten  
der Universitätsbibliothek der Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg

§ 25. უკეთე მიწათ-მოქმედების მინისტრი და სამაჟირო ერობის (ან საადგილ-მამულო) გამგეობა ვერ შეთანხმდენ დესიატინა მიწაზე საშვალო ფასის დაწესების შესახებ საკითხს საბოლოოდ ცრკვეტს მთავრობა მინისტრის მოხსენებით.

§ 26. კანონის მე-18 მუხლის ძალით სოფლის საზოგადოებანი, სოფლები და დაინტერესებული კერძო პირნი ვალდებული არიან მიიღონ სათანადო ზომები, რომ კომისიის წევრებს, მდივნებს და მიწის მზომელებს სამუშაო ადგილას ექნეთ უსასყიდლოთ ბინა, გადასაზიდი საშუალებანი, საჭირო იარალი, მასალა და მუშები.

ვამწერებები  
შირიმ - მოქმედების მინისტრი  
ნ. სოჭელავი  
15/4—19 წ.

## დროებითი წესები

სამიწისმზომლო სამუშაოზე აგრძარულ რეფორმის  
ცხოვრებაში გატარების დროს საქართველოს  
რესპუბლიკაში.

§ 1. საერთო ხედამხედველობა სამიწისმზომლო  
სამუშაოზე აგრძარული რეფორმის შესრულების დროს  
საქართველოს რესპუბლიკაში, ევალეა მიწით მოქ ედების  
სამინისტროს გამიჯვნის განყოფილებას.

§ 2. უახლოესი თვალ-ყურის გდება ამ სამუშაოსი  
და მიწის მხომელთა სამუშაოზე გაგზავნა ევალება ერობა-  
თა გამიჯვნის განყოფილებების გ. მგეთ; ესენი აძლევენ მი-  
წის მხომელთ საქირო დარიგებას მიწების ზომის წარ-  
მოების წესრიგის შესახებ.

§ 3. ერობათ, გამიჯვნის კანკოუილებების გამგენი  
იღებენ მონაწილეობას მათს რაიონში გამიჯვნის სამუშა-  
ოთა წარმოების პლანის შედგენაში.

§ 4. თავია თ სპეციალობის, საქმის შესრულების  
დროს მიწის მხომლები ხელმძღვანელობენ ქათანადო  
განრიგებებით და ინსტრუქციებით.



§ 5. მეშაობის შესრულების დროს უნდა მიწოდოს დედანი ალანშეტები. თუ მათზე ფერიადებით ნაჩვენები მიწების ხევა და სხვაობა (ყიდია) სინამდვილეს აღარ შეეფერება, ახლათ გადაღებული მიწები უხდა აღინიშნონ პლანშეტზე მათი სახელწოდების პირველი ასოს და სმით და არა ხელახლი შეფერადებით.

§ 6. ადგილ-მამულის კონფისკაციის და მემამულეს-თვის დასატოვარ ნორმის განსახლვრის ტროს მიწის მზომლის მოვალეობაა გაარკვიოს შეეფერებიან თუ არა ნაჩვენები სამზღვრები გამოჯვრის პლანს.

§ 7. სარაიონო კომისიის მიერ მიწების დანაწილების დროს მიწის მზომელი იღებს დამატებითი პლანს ადგილებისას, ასწორებს მველ პლანს, აღნიშნავს პლანზე და ადგილზედაც მიწების კატეგორიას და, თუ კომისია საჭიროთ დაინახავს, არკვევს ფაქტურ მულობელობას.

**წერილი:** როცა საქმის გარემოება იუცილებლათ ჩდის ოკუ-  
გნოსკოურ გადაღებას პლანისას, იმ შემთხვევაში კატე-  
გორიების და მიწების სხვა და სხვაობის მონახულობა  
დაინიშნება პლანშეტზე მზოლოთ კარანდაშით.

§ 8. მიწების განაწილების გეგმის შესადგენათ მი-  
წის მზომელი ასრულებს ყველა საჭირო ანგარიშებს კო-  
მისიის მიერ შეკრებილ მასალისა.

§ 9. მიწის ზომვის ყველა სამუშაონი უნდა იქნენ  
დაფუძნებული სამკუთხედთა და მრავალკუთხედთა წერტი-  
ლებზე.

**წერილი:** იმ ადგილებში, სადაც სამკუთხედთა წერტილებით სარ-  
გებლობა მოითხოვს განსაკუთრებულ დროს და ბარჯვები-  
მიწების ზომვა, აგრარულ რეფორმის სიჩქარის იუცილებ-  
ლობის გამო, შეიძლება შესრულებულ იქნეს თავისუფალ  
ბაზისილან რომელიმე მუდმივ წერტილზე მიმდინარე. ასეთ  
შემთხვევაში პლანშეტი უნდა მოიმართოს მიზნიტურ მერი-  
დიანზე ასა ადგილზე უნდა გაიზომოს სამზღვრის ზოგი-  
ერთი ხაზების სიგრძე და რუბი და ასეთი ხაზების თავში  
და ბოლოში უნდა ჩაყრილ იქნეს რამე მტკიცე ნიშნები.



§ 10. ზომვის დროს მიწის მზომელია, რამდენათაც შესაძლებელია, უნდა დაიცოს მუშაობის ის წესი (კუთხითი ზომვა ან მენტულით), რომელიც მიღებულია იმ ადგილებში, მაგრამ, თუ მას რაიმე განსაზღვრული რჩევა არ აქვს მიღებული გამკის ან რევიზორისაგან, მას შეუძლია აირჩიოს ისეთი წესი, რომელსაც თითონ დაინახავს საჭიროთ, ოღონდ-კი ზომეის სისწორე დაცული იქნეს იმდენათ. რამდენათაც ეს საქმეს შეეფერება და დრო უმიზნოთ ზედმეტ მუშაობაზე არ დაიკარგოს.

§ 11. შინ სამუშაონი უნდა შესრულებულ იქნან ავდრიიან დლეებში რამდენათაც ამას საჭმე მოითმენს.

§ 12. მიჯნის ნიშნებათ უნდა გაკეთდეს ან ქვამი-ჭაშეურილი (курган). ან ქვის თლილი სვეტები და ან სამნები, რომელთ ქვემაც მიწაში უნდა დაიფლას რაიმე უხრწნელი მასალა (ნახშირი, აგური ან შუშა).

§ 13. ყოველივე გაუგებობის გასარკვევათ, რომელთაც წაიწყდებიან მიწის მზომლებ ტენისურ სამუშაოთა შესრულების დროს, ისინი მიმართავენ გამიჯვნის განცოფილების ადგილ-ბრივ გამგეს, ან რევიზიის დროს გამიჯვნის რევიზორს.

§ 14. მინდონში სამუშაოებს ამოწმებს ერობის გამიჯვნის განცოფილების გამგე და აგრძოვე გამიჯვნის რევიზორები.



F 18.981  
2

